ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**d08. 3724030001**
თარიღი:**30/01/2024**

დასკვნა

„მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების

პროექტის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ განიხილა „მდგრადი განვითარების მიზნების ოზურგეთის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ - განკარგულების პროექტი.

პროექტის შემუშავების საფუძველია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2015 წლის 25 დეკემბრის EA/RES/70/1 რეზოლუცია და მასში შემავალი მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვის გეგმა.

მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების სამ განზომილებას - ეკონომიკურს, სოციალურს და გარემოს დაცვითს. იგი წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების ადგილობრივ განსაზღვრებას რომლის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვას 2030 წლამდე.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი